№12 (9907) ◆ დეკემბერი, 2023 წელი ◆ ფასი 50 თეთრი ◆ გაზეთი გამოდის 1933 წლის 3 მაისიდან



გ ი ღ ო ც ა ვ თ !

საქართველო ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყანაა!

ჩემო ძვირფასო ლეჩხუმლებო, რაჭველებო, სვანებო! გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს!

გისურვებთ, მშვიდობა, სიკეთე და წარმატებები მოეტანოს ახალ, 2024 წელს თქვენთვის და თქვენი ოჯახებისთვის.

წლევანდელი წელი განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ჩვენი ქვეყნისთვის, ევროპული საბჭოს გადაწყვეტილებით, საქართველოს მიენიჭა ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი. ჩვენი ქვეყნის განვითარებისთვის ეს მნიშვნელოვანი ნაბიჯია, მინდა მოგილოცოთ და გისურვოთ დროულად ევროპულ ოჯახში შესვლა.

ახალი 2024 წელი ყოფილიყოს საქართველოსა და ქართველი ხალხის გამთლიანების, ეკონომიკური გაძლიერების და სულიერი აღორძინების წელიწადი. გასულ წელს ჩვენს რეგიონში ბევრი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა, გასაკეთებელი კიდევ ბევრია. ჩვენ გვაქვს ვალდებულება ვიზრუნოთ თქვენი ეკონომიკურ-სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ცენტრალურ ხელისუფლებასთან ერთად. ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ რეგიონის ყველა მაცხოვრებელს, ცხოვრების ღირსეული პირობები შევუქმნათ.

განსაკუთრებულად მინდა, მივულოცო ახალი წელი თითოეულ ონელს. რთული აღმოჩნდა 2023 წელი ჩვენი რეგიონისთვის, შოვის ტრაგედია ნებისმიერი ქართველისთვის დაუვიწყარი ტკივილია, ჩვენ 32 მოქალაქე დავკარგეთ. კიდევ ერთელ ვუსამძიმრებ ოჯახის წევრებს და სრულიად საქართველოს ამ უდიდეს ტრაგედიას. გისურვებთ უფლის წყალობას და გამძლეობას.

კიდევ ერთხელ გილოცავთ! ბედნიერებას, ჯანმრთელობას, ხვავსა და ბარაქას გისურვებთ დამდეგ ახალ წელს ვულოცავ ჩვენი ქვეყნის ემიგრანტებს, ჩვენს აფხაზ და ოს ძმებს, პედაგოგებს, პოლიციელებს, საერთაშორისო მისიების მონაწილე ჯარისკაცებს და ოფიცრებს, საჯარო მოხელეებს და ყველა იმ ადამიანს, ვინც ერთგულად ემსახურება ჩვენი ქვეყნის უკეთეს მომავალს და თითოეულ მოქალაქეს.

დარწმუნებული ვარ, ხელისუფლებისა და მოქალაქეების ერთიანობით, 2024 წელი წარმატებული იქნება ჩვენი რეგიონისა და ქვეყნის ცხოვრებაში.

გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, მშვიდობას, დღეგრძელობასა და კეთილდღეობას!

გოჩა ენუქიძე,
რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთის მაჟორიტარი დეპუტატი

გილოცავთ ახალი წლის შემობრძანებას! ახალი 2024 წელი ყოფილიყოს ჩვენი ქვეყნისა და რეგიონისთვის წინსვლის, წარმატების, ერთიანობის, კეთილდღეობისა და კიდევ უფრო მეტი განვითარების მომტანი! ახალ წელს სურვილების ასრულების იმედით ვხვდებით და პირველ რიგში, ვისურვებდი, რომ ამ ახალ წელს საერთო მშვიდობა მოეტანოს დედამიწაზე, რათა ჩვენ ყველამ შევძლოთ ვიყუროთ წინ, ვიფიქროთ მომავალზე, განვითარებაზე და ახალი ამბიციური პროექტების განხორციელებაზე. 2023 წელი გამოწვევებით დატვირთული იყო ჩვენი რეგიონისთვის და მეტიც იყო ადამიანების დაკარგვით გამოწვეული ტრაგედიები, სამწუხაროდ შოვის სტიქიურმა უბედურებამ 32 ჩვენი თანამოქალაქე იმსხვერპლა, რის გამოც მინდა კიდევ ერთხელ გამოვთქვა ჩემი ღრმა წუხილი თითოეული დაკარგული სიცოცხლის გამო. მინდა მათი ოჯახის წევრებს ვუსურვო გამძლეობა და სიმტკიცე, ჩვენ ყველამ ერთად, ღირსეულად, უნდა გავუძლოთ ამ დიდ ტკივილს. ამავე დროს მინდა მადლობა ვუთხრა სტიქიის პირველივე წუთებიდან სამძებრო-სამაშველო ღონისძიებებში ჩართულ ყველა პირს გაწეული, თავდაუზოგავი შრომისთვის.

გასული წელი წარმატებებითაც აღინიშნა სხვადასხვა კუთხით, – ჩვენს რეგიონს წინსვლა არ შეუჩერებია არც ერთი წუთით, განხორციელდა მრავლი მასშტაბური პროექტი და საფუძველი ჩაეყარა ახლის მშენებლობასაც. მიმდინარე წელს საგზაო ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობის მიზნით, სხვადასხვა ფონდებიდან განხორციელდა – 65 პროექტი და ჯამში დაიგო 75 კმ-მდე ასფალტო ბეტონის საფარი. გარდამტეხ ფაზაშია ლენტეხი-ლასდილის დამაკავშირებელი გზის მშენებლობა, რომელიც საშუალებას მისცემს ვიზიტორებს ცაგერი-ლენტეხის გავლით, უმოკლესი გზით მოხვდეს მესტიაში. საფუძველი ჩაეყარა ქ. ამბროლაურში კოსტავას ქუჩის მიმდებარედ, მდ. კრიხულას სანაპიროზე, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული როლის გაზრდის მიზნით, მრავალფუნქციური ცენტრის მშენებლობას, რაც უზრუნველყოფს, ამბროლაურის, როგორც რეგიონის ცენტრის ფუნქციური როლის გაზრდას. ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით რეგიონის მასშტაბით მოეწყო და რეაბილიტირდა 26 ტურისტული ლოკაცია და ლოკაციებამდე მისასვლელი ინფრასტრუქტურა. წელს პირველად საგამოცდო ცენტრი გაიხსნა ქ. ამბროლაურში, სადაც ეროვნული გამოცდები ადგილზე 120-მდე აბიტურიენტმა ჩაბარა. პარალელურ რეჟიმში მიმდინარეობს და კვლავ მომავალშიც აქტიურად გაგრძელდება, სკოლების, ბაღების, სპორტული მოედნების, წყალსადენების, გაზიფიცირების, საგზაო ინფარასტრუქტურის მოწესრიგებისა და მშენებლობის სამუშაოები.

აღსანიშნავია, სახელმწიფოს მხარდაჭერა 2023 წლის რთველის მიმდინარეობისას. ყურძნის ჯიშებზე შენარჩუნდა გასული წლის ფასი და მევენახე ფერმერებმა სრულად შეძლეს მოსავლის დაბინავება. სოფლის მეურნეობის განვითარება სახელმწიფოს ერთ-ერთი პრიორიტეტია და ამ დარგის ხელშეწყობა მომავალშიც გაგრძელდება.

ჩვენ ადგილობრივი ხელისუფლება, ცენტრალური ხელისუფლებისა და საქართველოს პარლამენტის მხარდაჭერით, მზად ვართ კიდევ უფრო მეტი შემართებით და გულწრფელობით ვემსახუროთ ჩვენს ძვირფას რეგიონს იმისთვის, რომ გავხადოთ უფრო მიმზიდველი და სიცოცხლით სავსე.

კიდევ ერთხელ გილოცავთ ახალ წელს! ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!

პაპუნა მარგველიძე,
რწმუნებული რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში

ძვირფასო ამბროლაურელებო, გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს!

ბედნიერება, სიკეთე და სიხარული მოეტანოს თქვენთვის, თქვენი ოჯახებისათვის და სრულიად საქართველოსათვის.

ვისურვებდი ახალი წელი ყოფილიყოს ჯანმრთელობის, მშვიდობის საქართველოს გამთლიანების და ეკონომიკური აღმავლობის. მართალია, 2023 წელმა დიდი ტკივილი მიაყენა საქართველოს განსაკუთრებით რაჭას და რაჭველებს, მაგრამ იყო ბევრი სიხარული და წარმატებული დღეებიც. 2023 წელს მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ჩვენი მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საკეთილდღეოდ. ინფრასტრუქტურული პროექტების პარალელურად არაერთი მნიშვნელოვანი სოციალური პროგრამა განხორციელდა,რაც აისახა ჩვენი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

დარწმუნებული ვარ 2024 წელს კვლავ ღირსეულად ვუპასუხებთ ყველა გამოწვევას და ერთად შევქმნით უკეთეს საცხოვრებელ პირობებს.

კიდევ ერთხელ მოგილოცავთ ყველას დამდეგ ახალ წელს, გისურვებთ ჯანმრთელობას და კეთილდღეობას.

სიყვარულითა და პატივისცემით ასლან საგანელიძე,
ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ჩემო ძვირფასო ამბროლაურელებო, თქვენ და სრულიად საქართველოს გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს! გისურვებთ მშვიდობას, დღეგრძელობას, გაბრწყინებულ და წარმატებულ ქვეყანაში ცხოვრებას!

2023 წელს ამბროლაურის მუნიციპალიტეტში ბევრი მნიშვნელოვანი პროექტი და პროგრამა განვახორციელეთ. ნებისმიერი პროექტის განხორციელებისას ვცდილობდით მაქსიმალურად გაგვითვალისწინებინა საზოგადოების აზრი და მათთან შეხვედრების დროს გამოკვეთილი პრიორიტეტების მიხედვით გვეხელმძღვანელა. პრიორიტეტული მიმართულებები ითვალისწინებდა ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას, ეკონომიკური განვითარებისათვის ხელშემწყობი გარემოს შექმნას, მოსახლეობის სოციალური და ჯანდაცვის მდგომარეობის გაუმჯობესებას, განათლების, კულტურისა და სპორტის სფეროების განვითარებას. გარდა საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებისა, ასევე წყალმომარაგების გაუმჯობესების მიზნით მნიშვნელოვანი სამუშაოები განვახორციელეთ მუნიციპალიტეტის ოთხ სოფელში, რომლებზეც 1 200 000 ლარზე მეტი დაიხარჯა. დღეს უკვე წყალი მიეწოდება ისეთ სოფლებს, რომლებსაც ათწლეულების მანძილზე აწუხებდათ ეს პრობლემა. 2023 წელი მნიშვნელოვანი იყო ჩვენი ქვეყნის ევროპული მომავლისთვის. 14 დეკემბერს ევროპულმა საბჭომ საქართველოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი მიანიჭა რაც ქართველი ხალხის და საქართველოს მთავრობის უდიდესი შრომისა და სწორად განხორციელებული მმართველობის შედეგია. ევროპული საბჭოს გადაწყვეტილება მნიშვნელოვან ცვლილებებს მოუტანს ჩვენს ქვეყანას და დადებითად იმოქმედებს თითოეული ჩვენი მოქალაქის კეთილდღეობასა და ცხოვრების ხარისხის ზრდაზე.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტი 2024 წელს იქნება ქალაქის ინფრასტრუქტურული იერსახის გაუმჯობესება და ტურისტული პოტენციალის გაზრდა, ამასთან უმთავრეს ამოცანად ვისახავთ უკეთეს ჯანდაცვას, უკეთეს განათლებას და უკეთეს სოციალურ უზრუნველყოფას ჩვენი მოქალაქეების საჭიროებათა საპასუხოდ. დარწმუნებული ვარ, რომ მომავალი წელი კიდევ უფრო მეტი შესაძლებლობების მომტანი იქნება როგორც ჩვენი მუნიციპალიტეტისთვის, ასევე ჩვენი ქვეყნისთვის. ჩვენი მთავარი საზრუნავი თქვენი კეთილდღეობა და ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სწრაფი განვითარებაა, რათა ჩვენი ცხოვრება უკეთესი და საინტერესო გავხადოთ, ხოლო ჩვენი მუნიციპალიტეტი კიდევ უფრო მიმზიდველი, რასაც ერთად აუცილებლად შევძლებთ!

კიდევ ერთხელ გილოცავთ ახალ წელს და ყველაფერს საუკეთესოს გისურვებთ!

ზვიად მხეიძე, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერი

„...ღმერთმა მოგცეთ ნუგეში“

მალე 2023 წელი ისტორიის კუთვნილება გახდება. როგორი იყო მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის? თამამად შეიძლება ითქვას, რომ წინა წელზე გაცილებით უკეთესი უამრავი პროექტით, პროგრამით, სხვადასხვა სფეროების მიხედვით გამართული ღონისძიებებითა თუ მოპოვებული წარმატებებით, ბარაქიანი რთველით, რამაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ამბროლაურელთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. თუმცა დარჩა პრობლემებიც და დიდი ტკივილი შოვის ტრაგედიის სახით.

ცხოვრება გრძელდება და ჩვენებურებიც იმედით ეგებებიან 2024 წლის შემობრძანებას, მითუმეტეს რომ წინა საახალწლო განწყობილების ამაღლებას დიდად შეუწყო ხელი იმ ფაქტმა, რომ ევროპული საბჭოს გადაწყვეტილებით ქვეყანას მიენიჭა ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი, რის აღსანიშნავად 15 დეკემბერს თბილისში გამართულ სახალხო ზეიმზე ამაყად იდგნენ რეგიონისა და კუთხის წარმომადგენლებიც.

საზეიმოდ მორთული ნაძვის ხე, ქუჩები, მთავრობის მიერ დაგეგმილი წინასაახალწლო აქტივობებითა და მრავალფეროვანი საკონცერტო პროგრამებით კიდევ უფრო ამაღელვებელსა და დაუვიწყარს ხდის პირველი იანვრის მოლოდინს. „გფარავდეთ მრავალძალის წმინდა გიორგი! შეგეწიოთ ყოვლადწმინდა ხოტევი და ნიკორწმინდა, აგარა და უყეში. ღმერთმა მოგცეთ ნუგეში“. ტრადიციულად ამ სიტყვებით ლოცავდა მეკვლე რაჭაში ოჯახებს. გვჯერა, ასე იქნება ახლაც.

მთის სადარაჯოზე მყოფნო ძვირფასო თანაკუთხელებო, დაე ოჯახურ სიმყუდროვეში, მრავალსაუკუნოვანი „რაშოვდათი“ და „ასლანური მრავალჟამიერით“ ზღაპარს ემსგავსოს ახალ 2024 წელში თქვენს ოჯახებში ცხოვრება და საქმიანობა!

ინფრასტრუქტურა პრიორიტეტად რჩება

2023 წელში ამბროლაურის მუნიციპალიტეტში არაერთი მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა. მათ შორის რეგიონული განვითარების ფონდიდან პირველი ტრანშით გამოყოფილი თანხა მიმართულ იქნა 13, ხოლო მთავრობის განკარგულებით მეორე ტრანშის სახით დამატებით გამოყოფილი თანხა 11 ობიექტზე. სულ ფონდიდან დაფინანსებამ თანადაფინანსებით შეადგინა 5496738 ლარი. მთის ფონდიდან გამოყოფილი თანხით დასრულდა იწის სასოფლო გზის რეაბილიტაციის მეორე რიგის სამუშაოები.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში საქართველოს მთავრობის მიერ გამოყოფილი იქნა 73400 ლარი, ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსებით 61000 ლარი და სულ 795000 ლარი მოსახლეობის გადაწყვეტილებით მიმართულ იქნა 69 პროექტზე. ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი თანხით (869864ლარი) დაფინანსდა 24 პროექტი. ხოლო სკოლების რეაბილიტაციის ფონდიდან გამოყოფილი თანხით (899615 ლარი) განხორციელდა სადმელის საჯარო სკოლის გათბობის მოწყობის სამუშაოები.

აღსანიშნავია, რომ სტიქიის პრევენციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში საქართველოს მთავრობის განკარგულებით სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიმდინარე წელს მუნიციპალიტეტს გამოეყო 3 000 000 ლარი და ძირითადად მიმართულ იქნა ნაპირდამცავი ნაგებობების მოსაწყობად. კერძოდ ქ. ამბროლაურში მდინარე კრიხულაზე უკვე დასრულდა რკინაბეტონის დამცავი ჯებირის მოწყობისა და სხვავაში ეკლესიის მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოები. წესში მდინარეების რიონისა და ლუხუნის შესართავთან ხორციელდება ნაპირსამაგრების მოწყობის სამუშაოები. აგრეთვე ღვიარაში, ხვანჭკარაში ახალ დასახლებაში, ჩორჯოში ონაშვილების დასახლებასთან და მახალდიანების უბანში მდინარე რიონის მარჯვენა სანაპიროზე, ხოლო საკეციაში მდინარე რიონის მარცხენა სანაპიროზე საწარმოო ზოლისა და სავარგულების დაცვისათვის.

პროექტების სიმრავლე მიუთითებს იმაზე, რომ აღმშენებლობის პროცესები უფრო მასშტაბური იქნება ახალ 2024 წელშიც და ჯერ კიდევ არსებული პრობლემები მინიმუმამდე იქნება დაყვანილი.

მშვიდობიან, აღმშენებლობით წელს გისურვებთ მშენებლებო, რიგითო მოქალაქეებო!

ინფორმაცია

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მეორე მოწვევის საკრებულოს ორმოცდამეთორმეტე მორიგმა სხდომამ მოისმინა და დამაკმაყოფილებლად შეაფასა, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურული ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელის ალექსანდრე ქურციკიძის ანგარიში 2023 წლის 01 იანვრიდან 01 ნოემბრამდე გაწეული საქმიანობის შესახებ.

სხდომამ ცვლილება შეიტანა „ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ქონების 2023 წლის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის №01 და „ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ქონების 2023 წლის პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის №02 განკარგულებებში.

სხდომაზე საკრებულოს წევრებმა თანხმობა მისცეს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – „ამბროლაურის ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფის“ (Ambrolauri local Action Group) დაფუძნებაში მონაწილეობასა და მასში გაწევრიანებაზე.

* * *

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მეორე მოწვევის საკრებულოს 53-ე რიგგარეშე სხდომაზე დეპუტატებმა დაამტკიცეს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე მოქალაქეთა სოციალური დაცვის პროგრამისა და ბენეფიტის გაცემის, მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების პროგრამისა და მიზნობრივი დახმარების გაცემის წესები. ახალგაზრდული, სასპორტო ღონისძიებების, ჰობი განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობის (უფასო სამგზავრო გადაყვანის) ხელშეწყობის, კულტურისა და სპორტის სფეროში საპატიო წოდებების მინიჭების წესის და ჯილდოების გაცემის, მუნიციპალიტეტზე „უანგაროდ მზრუნველის“ წოდების მინჭების, განათლების სფეროში საპატიო წოდებების მინიჭებისა და განათლების ხელშეწყობის, საჯარო სკოლების მოსწავლეთა საზაფხულო ბანაკის პროგრამები. მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ბავშვების უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის და მიზნობრივი დახმარების წესი. ძალადაკარგულად გამოაცხადა მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის №16 დადგენილება.

სხდომამ ცვლილებები შეიტანა საკრებულოს 2017 წლის №08, №18, №07, №20, №22 დადგენილებებში და 2017 წლის №21 განკარგულებაში. განსაზღვრა მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა და მათი თანამდებობითი სარგოების ოდენობა.

მოწონებულ იქნა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2024–2027 წლების პრიორიტეტების დოკუმენტი და დაამტკიცა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტი.

* * *

საკრებულოს სხდომაზე დეპუტატებს მიეწოდა ინფორმაცია და შესაბამისად ვაუწყებთ მკითხველსაც, რომ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ რაჭაში

შპს „ეიჩ ჯი კაპრა კაუკასიკა“-ზე სამონადირეო მეურნეობის მოსაწყობად სპეციალური ლიცენზიის გაცემის შესახებ 2022 წლის 23 მარტის №38/ს ბრძანება ძალადაკარგულად გამოაცხადა. შესაბამისად, აღნიშნული ბრძანების საფუძველზე გაცემული სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზია (№000019) გაუქმდა სალიცენზიო ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო.

თანადგომა გექნებათ



წელს შვებულების პერიოდში რაჭაში ყოფნისას მამიდაჩემის ბიბლიოთეკაში ქექვის დროს წავაწყდი წიგნს „ქვემო რაჭა-ლეგენდებსა და სინამდვილეში“. როგორც იტყვიან, ერთი ამოსუნთქვით წავიკითხე. ბარაქალა ავტორებს გულნარა საღინაძეს და ტანია ენუქიძეს. როგორც მითხრეს ეს ქალბატონები დღესაც მოღვაწეობენ მთავარ ბიბლიოთეკაში. დღეგრძელობა მათ და იმ პირებსაც, ვინც მათ ამ წიგნის შექმნაში, 11 წლის წინ, მხარში დაუდგათ მასალების მიწოდებითაც და ფინანსურადაც.

წიგნი მართლა სამაგიდოა, მაგრამ მეწყინა, რომ მცირე ტირაჟით ყოფილა გამოცემული და სოფელი საიდანაც ჩემი წინაპარია წარმოშობით ცალკე არაა მოხსენიებული.

ავტორები წინასიტყვაობაში მკითხველს სთხოვენ შემოგვეხმიანეთ, მოგვაწოდეთ შენიშვნებიო, რადგან სრულყოფილებაზე პრეტენზია არ გვაქვსო. განმეორებით ვეუბნები მათ მადლობას წიგნის შექმნისათვის და ვბედავ: 11 წლის შემდეგ აუცილებლად გამოუშვით წიგნი. ოღონდ ცალკე სოფლებად შეიტანეთ კლდისუბანი, ზემო და ქვემო შავრა, ზემო და ქვემო კრიხი, ზემო და ქვემო ღვარდია... ისინი ხომ დამოუკიდებელი ერთეულები არიან და გააჩნიათ, როგორც საკუთარი ისტორია, ისე დატვირთვა.

თქვენ საშვილიშვილო საქმეს აკეთებთ. საოცარი, დასაფასებელი პროფესიაა ბიბლიოთეკარობა. არა მგონია დაფინანსებაზე ხვეწნა დაგჭირდეთ მუნიციპალიტეტის ამჟამინდელ ხელმძღვანელებთან. წიგნის განახლებული ვერსიის გამოშვებაზე იდო ინფორმაცია ფეისბუქგვერდზეც. ეტყობა ნაფიქრიც გაქვთ და მასალებიც მოძიებული. გთხოვთ წიგნის გამოშვება გაზრდილი ტირაჟით რეალობად აქციეთ 2024 წელში.

თანადგომა ჩემნაირებისგანაც გექნებათ.

ფ. ნეგულიშვილი

საინტერესო და შემოქმედებითი იყო ამბროლაურის დავით თორაძის სახელობის სამუსიკო სკოლის პეგაგოგებისა და მოსწავლეებისათვის მთელი 2023 წელი, რომელიც სკოლასთან არსებულმა ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „TMS“ (ხელმძღვანელი სოფო ბოჭორიშვილი), ქ. ბათუმში გამართულ ხელოვნების საერთაშორისო სატელევიზიო კონკურს-ფესტივალში „TV 100 ვარსკვლავი“, გამარჯვებითა და გრან-პრის მოპოვებით დააგვირგვინა.

ფესტივალის ორგანიზატორებისგან ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერს ზვიად მხეიძეს, ხელოვნების სკოლისა და მოზარდთა კულტურის საქმიანობის განვითარების ხელშეწყობისთვის, ხოლო სკოლის დირექტორს, ქალბატონ ლალი დვალს, საუკეთესო ანსამბლის წარდგენისთვის მადლობის სიგელები გადაეცათ.

ვულოცავთ!

სხვადასხვა

* * *

სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციას აშშ-ს ევროპული სარდლობის თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის სამსახურმა, ჰუმანიტარული დახმარების პროგრამის ფარგლებში, გადასცა მძიმე წინამტვირთველი ტექნიკა, რომელიც გამოყენებულ იქნება იმის უზრუნველსაყოფად, რომ რეგიონში სწრაფად მოხდეს რეაგირება ბუნებრივ კატასტროფებზე, როგორიცაა მაგალითად, ღვარცოფი და დიდთოვლიანობა, რეგიონის მდგრადობის გასამყარებლად

ტექნიკის გადაცემის ცერემონიას სახელმწიფო რწმუნებული – **პაპუნა მარგველიძე** მოადგილეებთან – **ქრისტინა კობახიძესთან**, **ალუდა თუთისანთან, ბერდია ჩანქსელიანთან**, რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთის მაჟორიტარ დეპუტატთან – **გოჩა ენუქიძესთან** და ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელ პირებთან ერთად ესწრებოდა. ცერემონიას ესწრებოდნენ აგრეთვე გენერალი **ირაკლი ჭიჭინაძე**, პოლკოვნიკი **გიორგი შერაზადაშვილი**, გენერალი **რომან ჯოხაძე,** აშშ-ს საელჩოს მხრიდან კი პოლკოვნიკი **ჯოზეფ ბილბო** და ვიცე-პოლკოვნიკი **ეროლ მუნირი**.

* * *

ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსით, რომელიც სწავლობს და აფასებს საქართველოს მუნიციპალიტეტების გამჭვირვალობას, მოქალაქეთა მიმართ ანგარიშვალდებულებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოსახლეობის მონაწილეობის ხარისხს, 2023 წლის ყველზე მაღალი შედეგის მქონე მუნიციპალიტეტებად დასახელდნენ ამბროლაური, ონი, ფოთი, ლაგოდეხი, მესტია და გადაეცათ სპეციალური სერტიფიკატები.

* * *

ქ. ამბროლაურში „მედიქალ ვორლდის“ ლაბორატორიის ფილიალი გაიხსნა, რომელიც მოსახლეობას სამედიცინო კვლევების მიმართულებით სთავაზობს 800-ზე მეტი სახის ლაბორატორიულ კვლევას.

ლაბორატორია აღჭურვილია მსოფლიოს წამყვანი ბრენდების მიერ წარმოებული ანალიზატორებით რაც უზრუნველყოფს კვლევების სიზუსტეს და მაღალმთიან რეგიონში სამედიცინო სერვისების ხელმისაწვდომობას.

ლამაზი ლეგენდით ესპანეთში

მთის ხალხი ვართ რაჭველები და ეტყობა ქვეყნის სხვა საამაყო კუთხეების მოსახლეობისგანაც ამიტომაც გამოვირჩევით სიტყვაძუნწობით, სიდინჯით. ნელები არიანო ჩვენზე ამბობენ, მაგრამ 21-ე საუკუნემ ჩვენც აგვაჩქარა და რაჭა გამორჩეულად ცნობადი გახადა ბევრი რამით ქვეყნის ფარგლებს გარეთაც. მათ შორის ხალხური საკრავების მრავალფეროვნებითაც კი. მაგალითი გნებავთ? კი ბატონო ჩვენებურმა გუდასტვირმა ბინა დაიდო ესპანეთის ქალაქ ოურენსის მონტერეის ისტორიულ ციხე-სიმაგრეში განთავსებული მუზეუმის კოლექციაში.

Campus Universitario, 32004 OURENSE (España)
Teléfonos: 00 34 988 317 981 • 988 317 980
Fax: 00 34 988 317 982

Web: www.realbanda.com
E-mail: rbe@realbanda.com

Real Banda
Escola Provincial de Gaitas

CULTURE CENTRE OF AMBROLAURI
Municipality, Racha

Xosé Lois Foxo, director of the International Bagpipes Museum of the Provincial Government of Ourense, Galicia (Spain), certificate that in this Museum is exposed a Gudastviri made by Jano Gagoshidze.

This certificate is expedited as requested by Jano Gagoshidze.

Ourense, 05.09.2023

Xosé Lois Foxo

DIPUTACIÓN PROVINCIAL DE OURENSE

დაპირებისამებრ მკითხველს დღეს ვთავაზობთ ინტერვიუს საკრავის შემქმნელ **ჯანო გაგოშიძესთან**. მანამდე კი შეხსენების მიზნით, ცოტა რამ გუდასტვირის ისტორიიდან.

ლამაზი ლეგენდაა მასთან დაკავშირებით შემორჩენილი და უკავშირდება ობოლ მწყემს ბიჭს – ერას. მისმა შთამომავალმა ერაძეების სახით, საფუძველი ჩაუყარეს რაჭველი მესტვირეების სკოლის არსებობას ქვეყანაში. მათი დამსახურებაა, რომ ოდითგან თაობიდან თაობას გადაეცემა ამ ტკბილხმოვანი რაჭული საკრავის სიყვარული. ფარახეთელი მესტვირეები საქვეყნოდ ცნობილები იყვნენ. ისინი უმღეროდნენ ღირსეული წინაპრების ვაჟკაცობას, შრომას, მეგობრობას, სიყვარულს... იუმორის ფონზე კი ექსპრომტად გამოთქმული შაირებით ამხელდნენ ყოველგვარ მანკიერებას. რაჭველი მესტვირეები მზარეულებიც იყვნენ, მეკურტნეებიც და მხვნელმთესველებიც. სტვირი მათი მარტო სულიერი მეგობარი კი არ იყო, არამედ შემოსავლის წყაროც. ყველგან სასურველი სტუმრები იყვნენ და ხალხი დიდი პატივით იღებდა მათ. მაშინ მესტვირეების ოჯახებიდან გამორჩეულები იყვნენ ერაძეები თავისთავად, ბურდილაძეები და ტოგონიძეები. რაჭაში მემკვიდრეობით არამარტო მესტვირეობა და მისი კეთება გადადიოდა, არამედ პოეზიის ძირითადი რეპერტუარიც.

თუმცა დროთა განმავლობაში საკრავისადმი ინტერესი ახალგაზრდა თაობაში თანდათან დაიკარგა და 1959 წელს უკანასკნელი რაჭველი მესტვირის ესტატე (ზაქარია ერაძის ძმა) ერაძის გარდაცვალებით რაჭველ მესტვირეთა სკოლამ არსებობა შეწყვიტა.

საბედნიეროდ, კუთხური ეროვნული მუსიკის სიყვარულმა და წინაპრების პატივისცემის გრძნობამ მსმენელს მივიწყებასა და გაქრობას მაინც გადაურჩინა რაჭული გუდასტვრი, რაშიც უდიდესია ზემო რაჭაში გიგა და შალვა ჯაფარიძეების, ხოლო ქვემო რაჭაში გიგა სხირტლაძის ღვაწლი. დღეს გუდასტვირი კვლავაც ჟღერს და გვჯერა, სამომავლოდაც საუკუნეებს გაუძლებს.

გაგრძელება მე-4 გვ.

მადლობა მონიჭებული სიხარულისა და იმედისათვის

პროფესიით მოწამლულთა იმ კატეგორიას მივეკუთვნები, რომელმაც ცხოვრების უმეტესი ნაწილი მოზარდთა აღზრდას მიუძღვნა მუდამ ძიების და ინოვაციების ფორმატში. ამდენად რა გასაკვირია გამორჩეულად მიყვარდეს ახალგაზრდობა, მითუმეტეს, როცა დედაც ვარ და ბებიაც. ჩემი პედაგოგიური მოღვაწეობის მანძილზე არ დამკლებია აღიარება, ჯილდოები თუ მედლები. ვარ ამბროლაურის საპატიო მოქალაქეც, მაგრამ დრო მიქრის და დგება მომენტი, როცა სკოლას, კოლეგებს, მოსწავლეებს, მშობლებს ემშვიდობები საპენსიო ასაკის გამო და ვფიქრობ, ამ გადასახედიდან მეც სწორი გადაწყვეტილება მაქვს მიღებული.

ვითომ ვისვენებ. არადა ყოველდღიური ფიქრით ისევ სკოლაში ვარ. მახარებს აღზრდილების, კოლეგების, მოსწავლეების შემოხმიანება, მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების კურსდამთავრებულების წარმატებები... მაგრამ მაინც ფიქრობ იმაზე, რომ დრო ულმობლად ჩქარა გარბის და ნელნელა გივიწყებენ. თუმცა ამ მხრივ ჩემთვის წლევანდელი წელიწადი გამორჩეული აღმოჩნდა. მასწავლებლის საერთაშორისო დღეს ბევრი შემომეხმიანა, მაგრამ თავინთი მოლოცვით და ოჯახში სტუმრობით მაინც განსაკუთრებულად გამახარეს ყოფილმა კოლეგებმა. ამ სიხარულის განცდებიდან არც კი ვიყავი გამოსული, რომ მასწავლებლის ეროვნული დღე მომილოცეს მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლებმა. სიხარულისგან ძალიან დავიბენი. შეიძლება მკითხველმა გადაჭარბებაში ჩამითვალოს, მაგრამ საზოგადოებამ მინდა იცოდეს მეორე დღის გაგრძელების ჩემი ემოციების შესახებაც, რომელიც ალბათ სიცოცხლის ბოლომე მასაზრდოებს.

არ ვიცი როდის შეამჩნია ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ხელმძღვანელმა მიხეილ დალაქიშვილმა, რომ გადავაადგილდებოდი შვილიშვილის მიერ გამოჩორკნილი უბრალო ხის ჯოხის მეშვეობით. მოულოდნელად მეორე დღეს ისევ მეწვია და თავისი ხელით რამოდენიმედან შემირჩია და მომირგო ის ხელჯოხი, რომელსაც გაბედულად დავეყრდნობი და გადავაადგილდები.

ბატონო მიხეილ! შეიძლება ვიღაცის თვალში თქვენი ქმედება უბრალო, შეუმჩნეველი დეტალი იყოს, მაგრამ ჩემთვის მნიშვნელოვანი და ღირებულია. ვთვლი, რომ ეს აღზრდის შედეგია. ამით მარტო სიხარული კი არ მომანიჭე, არამედ იმის იმედიც განმიმტკიცე, რომ საბედნიეროდ არიან ახალგაზრდები, რომლებიც უფროს თაობას აფასებენ და პატივს სცემენ.

გლოცავ, მადლობას გიხდი ყურადღებისათვის. გილოცავ დამდეგ შობა-ახალ წელს. თქვენი სახით თითოეულ ახალგაზრდას, პედაგოგს, სრულიად საქართველოს ვუსურვებ წარმატებებს და მშვიდობას.

იზო ჯოხაძე

პ.ს. მადლობას ვწირავ უფალს იმისთვისაც, რომ მოვესწარი და გავითავისე ის სიხარული, რაც მოჰყვა ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მონიჭებას.

გფარავდეთ უფალი!

გვილოცავენ

საყვარელო სამშობლო, ძვირფასო რაჭველებო, გამორჩეულად მონატრებულო ამბროლაურელებო! ყველაფერს ერთად გილოცავთ: ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მიღებას, წმ. ბარბარეს ხსენების დღეს, ნიკოლოზობას და დამდეგ შობა-ახალ წელს.

არ მოშლოდეს ჩვენს ქვეყანას წარმატებები მსოფლიოს მასშტაბით ყველა სფეროში. მშვიდობა და გამრავლება ქართველ ერს.

ცხვედიანების ოჯახი საფრანგეთიდან

მოგესალმებით შორეული კონტინენტიდან. ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მონიჭებით გამოწვეული სიხარულით მოგილოცავთ დამდეგ შობა ახალ წელს!

დღეგრძელობა, წარმატებები, გამრავლება და მშვიდობა ჩვენს სამშობლოს.

კანზასის შტატში მცხოვრები
რაჭველების მცირე ჯგუფის სახელით
ლ. მღვდელაძე

ხალხის სამსახურში

ხოტევი გამორჩეულთაგან ის სოფელია, რომელიც ამაყობს ისტორიითაც და წარმატებული თანასოფლელებითაც. ერთ-ერთი იმათთაგანია თემურ გოცირიძე. იგი ხოტევის საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე ჩაირიცხა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, რომლის გამოყენებითი სოციოლოგიის ფაკულტეტი დაამთავრა 1978 წელს, ხოლო 1981 წელს სატრანსპორტო ფაკულტეტი ხიდების და გვირაბების განხრით.

მისი შრომითი ბიოგრაფიაც საავტომობილო გზების სამინისტროდან იწყება. 1972–1982 წლებში სამინისტროსა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელ ცენტრში სოციოლოგად მუშაობის პერიოდში ადამიანებთან ურთიერთობებით მიღებული გამოცდილება ლაიტმოტივად გასდევს 1981–97 წლებში როგორც „თბილგვირაბმშენის“ მაღაროს უფროსის, 1997 წლიდან დღემდე შპს „კარიბჭეს“ გენერალური დირექტორის და საქართველოს პარლამენტის ყოფილი წევრის საქმიანობას. საზოგადოების დიდი წრე მას ასე ახასიათებს: შრომისმოყვარე, პროფესიონალი, და ქველმოქმედი პიროვნება. ფაქტები სახეზეა. მისი ხელმძღვანელობით აშენებულია 50-მდე ობიექტი. ასევე მის სახელს უკავშირდება თბილისში გლდანსა და მუხიანში უფასო სამედიცინო ცენტრის გახსნა, საკუთარი სახსრებით მესტიის მუნიციპალიტეტში სოფელ ლენჯერში მაცხოვრის მირქმის ტაძრის აგება, მრავალძალის ტაძრის კანკელიის დამზადება და სხვა.

მისთვის მშობლიური კუთხე და სოფელი ყველაფერია. მისი წვლილიცაა თერჯოლა–ამბროლაურის გაზსადენის აღდგენის საქმეში ჩადებული. ფიქრობს და გვჯერა, რეალობად აქცევს, ნახევრად დანგრეული ხოტევის ციხის რესტავრაციის საქმეს. ავალიანების, ქევანაშვილების და კობახიძეების უბნების მცხოვრებლებს მოუხსნათ სასაფლაოზე გასასვლელი ხიდის პრობლემა.

გვეამაყება თბილისზე მზრუნველის და მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის საპატიო წოდებების მატარებელი თანასოფლელი თემურ გოცირიძე, რომელსაც ზურგს უმაგრებენ ოჯახი (მეუღლე გულია შუკანი, ქალიშვილები მარიამი, ნინო, ელენე), ძმები თამაზ და ომარ გოცირიძეები. მათ კარგად იციან ერთმანეთის მხარში დგომის ფასი. სხვაგვარად არც შეიძლებოდა. თინა ქავთარაძისა და ვალერიან გოცირიძის შვილებში მშობლებისგან ჩადებული კოდია ემსახურონ ხალხს და გაიხარჯონ ურთიერთსამსახურში.

დამდეგ შობა-ახალ წელს ვულოცავთ მას!

როგიზონ ავალიანი

2024 წელს მეტ სპორტულ „ნადავლს“ მოველით

კესო მეტონიძე



დავით კობახიძე

2023 წელი გამორჩეული აღმოჩნდა სპორტული მიღწევებითაც. ამბროლაურელმა სპორტსმენებმა არაერთი ამაღელვებელი და საამაყო წუთები განაცდევინეს გულშემატკივრებს. სპორტის ისეთ სახეობაში როგორიცაა თავისუფალი ჭიდაობა მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონები აღარ გვიკვირს. გვყავს ვერცხლისა თუ ბრინჯაოს პრიზიორებიც. ახლახანს კვლავ გაგვახარეს საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატზე მიღწეული წარმატებებით. 86 კილოგრამით წონით კატეგორიაში **ვლადიმერ გამყრელიძე** და 74 კილოგრამით წონით კატეგორიაში **გიორგი გოგრიჭიანი** ქვეყნის ჩემპიონები გახდნენ, ხოლო **გიორგი ელბაქიძე** ვერცხლის პრიზიორია. სასიამოვნოა, რომ მათ მრავალრიცხოვან არმიას **ზარბეგ ბერიაშვილის** სახელობის საერთაშორისო ტურნირის ჩემპიონები თავისუფალ ჭიდაობაში **ლუკა მარგველიძე** (71 კგ.) და **ლუკა კვატაშიძეც** (80 კგ.) შეემატნენ.

ყურს სასიამოვნოდ ხვდება სპორტის სხვადასხვა სახეობებშიც მოპოვებული წარმატებები. გვახარებს ისიც, რომ ჯგუფები თუ სექციები უფრო და უფრო მეტ ახალგაზრდას იზიდავს და შესაბამისად მაღლდება მათი ინტელექტი თავისუფალი დროის გონივრულად გამოყენების თვალსაზრისით.

უკვე სერიოზული მიღწევები აქვთ და ქომაგთა დიდი რაოდენობაც შეიძინეს ქალმა ფეხბურთელებმა, რომელთა ორი წარმომადგენელი **კესო მეტონიძე** და **ანანო სიგუა** ქვეყნის 14-დან 17 წლამდე ქალთა ნაკრების წევრები არიან. კესოს 28 თამაშში 78 გოლი აქვს გატანილი და ნაკრების საუკეთესო ბომბარდირად ითვლება. მანამდე მას მწვრთნელები როგორც ნიჭიერ, მეორე თანრიგოსან მოჭადრაკეს დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ. თუმცა ფეხბურთზე ფანატიკურად შეყვარებულ გოგონას ჭადრაკი მთლად არ მიუტოვებია. საჯარო სკოლის მე-9 კლასის ათოსანი მოსწავლე ონლაინ ტურნირებში მაინც მონაწილეობს და აქაც წარმატებებს აღწევს. ახლახანს ის პროექტის „მწიგნობარი“ ნომინაციის „ბაჩანა ბრეგვაძის თარგმანები“ გამარჯვებული გახდა და გადაეცა საჩუქრად ლეპტოპი. აი ესაა ფიზიკური და გონივრული წრთობის შედეგი, რაც მაგალითად ბევრ მის თანატოლს ნამდვილად გამოადგება.

სპორტისადმი ინტერესი და მოზარდებში სწორი მიმართულების მიცემა ხომ სასკოლო ასაკიდან იწყება. ამ კუთხით საინტერესოა ის შეჯიბრებები თუ სპარტაკიადები, რომლებიც იმართება მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში, შემდეგ რაიონული მასშტაბით, რასაც სწორ მიმართულებასა და დანიშნულებას აძლევს სასპორტო სკოლა (დირექტორი ბ. სარდანაშვილი), სადაც ფუნქციონირებს კალათბურთის, ფრენბურთის, ჭადრაკის, მაგიდის ჩოგბურთის, კარატეს და ჩოხიანი ჭიდაობის ჯგუფები და დაკავებულია 185 მოსწავლე. კალათბურთელი გოგონები რეგიონში პირველობას არ თმობენ და სერიოზული შედეგები აქვთ აგრეთვე „ბავშვთა B ლიგაზე“ მოპოვებული. მკვეთრად გაიზარდა ინტერესი ფრენბურთისადმი. დღეს 50 გოგონა და ვაჟი ვარჯიშობს და სამომავლო გეგმებიც გათვლილი აქვთ. წარმატებებით გვახარებენ მოჭადრაკეებიც. ამბროლაურში გამართულ რესპუბლიკურ ფესტივალზე, რომელშიც მონაწილეობდა ქვეყნის ცხრა რეგიონის 160 მოჭადრაკე, აბსოლიტური ჩემპიონი გახდა **დავით გოცირიძე,** ხოლო მესამე ადგილის პრიზიორი **ლექსო მეტრეველი**. 16 წლამდე ვაჟებში მესამე ადგილი დაიკავა **გიორგი კობახიძემ**, მეორე გოგონებს შორის **მარიამ გობეჯიშვილმა**, ხოლო მესამე **მარიამ კერესელიძემ**. მწვრთნელთა კონკურსში **ზურაბ კობახიძემ** მეორე ადგილი დაიკავა.

საქართველოს მასშტაბით გამართულ ყველა ტურნირიდან მედლებით ბრუნდებოდნენ სასპორტო სკოლის მაგიდის ჩოგბურთელები. გვყვანან როგორც სპორტის ამ სახეობაში ისე კუდოში ჩემპიონებიც და პრიზიორებიც.

ძვირფასო მკითხველო, გაიცანით სასპორტო სკოლის წარმატებული ბავშვები: საქართველოსა და ევროპის ორგზის ჩემპიონი კარატეში **ვასილ დვალაძე**. საქართველოს ჩემპიონი მაგიდის ჩოგბურთში და მსოფლიო პირველობის მონაწილე **დავით კობახიძე**.

საქართველოს ჩემპიონები და პრიზიორები: **ნინი** და **საბა კობახიძეები, ნიკოლოზ ნადირაშვილი, საბა მომცელიძე, ანა მეტონიძე, ნანა ცხვედიანი, ანჟელა** და **გიორგი მომცელიძეები, ლუკა ნასარიძე** და **ავთანდილ ტყეშელაშვილი**.

შედეგები, რითაც ვამაყობთ, პირველ რიგში კვალიფიციური მწვრთნელების დავით დუშუაშვილის, აკაკი ვაჩაძის, გია შარაბიძის, მერაბ დარახველიძის, ზაალი მეტრეველის, გიორგი თომაძის, ბადრი სარდანაშვილის, მინდია და გოდერძი ცხვედიანების, ზურაბ კობახიძის, გიორგი ქოქოსაძის და ზურაბ ქურციკიძის დამსახურებაა.

კარგია, გვიხარია ნებისმიერ სფეროში მოპოვებული მიღწევები, მითუმეტეს სპორტის სახეობებში, მაგრამ ისიც უნდა ავღნიშნოთ, რომ ყოველწლიურად ადგილობრივი თვითმმართველობა სპორტული ინფრასტრუქტურის მოსაწყობადაც დიდ ენერგიას ხარჯავს. ე.ი. პირობები არის, ბავშვებისა და მშობლების სურვილიც ემთხვევა იმაში, რომ მოზარდებმა გაიკაჟონ სხეული და გონივრულად გამოიყენონ თავისუფალი დრო. ეს კი იმას ნიშნავს, რომ 2024 წელში კიდევ უფრო გაგვახარებენ თავიანთი მიღწევებით ჩვენი სპორტსმენები.

წარმატებულ ახალ წელს გისურვებთ ახალგაზრდებო! თქვენგან მეტ სპორტულ „ნადავლს“ ველით 2024 წელში.

გუდასტვირით საბოლოოდ „მოწამლული“

დასასრული

– თქვენ საინტერესო ბიოგრაფიის მქონე პიროვნება ბრძანდებით, თუმცა გაგვიკვირდა როცა შევიტყვეთ, რომ გუდასტვირს ამზადებთ. რამ გიბიძგათ, რამ განაპირობა ამ პროფესიის არჩევანი.

– რა თქმა უნდა, ხელოვნების და განსაკუთრებულად გუდასტვირის სიყვარულმა. სკოლის ასაკშივე დავინტერესდი. ამბროლაურის კულტურის სახლში საუკეთესო ადამიანს და ხელოვანს, ჯუმბერ გოცირიძეს ჰქონდა წრე, სადაც რამოდენიმე გაკვეთილს დავესწარი, მაშინ ბუნებრივია, ინსტრუმენტი არ მქონდა, კულტურის სახლი კი მარტო მასწავლებელს ანდობდა და მასაც მხოლოდ კვირაში ერთი საათით გაკვეთილის პერიოდში, ამიტომაც სტვირზე შესწავლის სურვილი სურვილად დამრჩებოდა, რომ არა კომკავშირული

ბანაკი არტეკი, სადაც აჭარელი ბიჭები იყვნენ საუკეთესო შემსრულებლები და რამოდენიმე ჭიბონიც ჰქონდათ. ჭიბონიც, მოგეხსენებათ ასევე უძველესი ხალხური საკრავია, ის გუდასტვირის ერთ-ერთი ნაირსახეობაა. სწორედ არტეკში აჭარელი მეგობრების წყალობით საბოლოოდ „მოვიწამლე“ სტვირის სიყვარულით. მასთან დაკავშირებული სასიამოვნო მოგონებებიდან კარგი გასახსენებელია ჩემთვის, როცა რაჭის დელეგაცია, სხვა რაიონების დელეგაციებთან ერთად თბილისში ჩავიდა ქალბატონი ნონა გაფრინდაშვილისათვის მსოფლიო ჩემპიონობის მისალოცად. რამოდენიმე წარჩინებული მოსწავლეც ჩასვეს დელეგაციაში. მეც თუმცა არა როგორც მესტვირე გახლდით იქ. საუკეთესო შემსრულებელს, ბატონ გიგა სხირტლაძეს გუდასტვირზე მისალოცი ლამაზი ნომერი ჰქონდა მისი ლექსით, თუმცა სტვირმა უღალატა, – მოგეხსენებათ სტვირი ძალიან მგრძნობიარე ინსტრუმენტია, რაც იმას ნიშნავს, რომ ადვილად იშლება და ხშირად საჭიროებს აწყობას, შეწუხდა რაიკომის მდივანი, ნამდვილად დასანანი იქნებოდა ამ ლამაზი ნომრის ამოღება პროგრამიდან. მე გავბედე და ვთქვი, თუ ბათუმელებს გამოართმევდნენ ჭიბონს მე დავუკრავდი მელოდიას და ბატონი გიგა იმღერებდა მილოცვის ტექსტს. მდივანმა მყისიერად მოაგვარა ჭიბონის ამბავი, მართალია ბატონი გიგა საეჭვოდ მიყურებდა, თუმცა სწრაფად გავიარეთ რეპეტიცია და ნომერიც შედგა! თითქმის 40 წლის შემდეგ შევხვდი ქალბატონ ნონას მის ოჯახში (მისი შვილი დათო ჭიჭინაძე ჩემი მეგობარია) და უდიდესი სიყვარულით გაიხსენა გუდასტვირით შესრულებული ეს ნომერი ლექსთან ერთად. მილოცვა ასე იწყებოდა: „...რაჭაში გავიგეთ, რომ მსოფლიო ჩემპიონი გამხდარხართ“, – ქალბატონმა ნონამ ძალიან იხალისა, – ამ დროს ის სამგზის მსოფლიო ჩემპიონი იყო!

შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, ჩემი უმცროსი ვაჟი ილია ქართული ცეკვით დაინტერესდა: ცეკვავდა ანსამბლ „მამულიშვილში“, დაამთავრა კულტურის უნივერსიტეტი ქორეოგრაფიის განხრით. სწორედ მისი დამსახურებაა ჩემი გუდასტვირთან მიბრუნება. მივიყვანე ბატონ შერმადინ ჩაგელიშვილთან, რომელმაც დაუმზადა სტვირიც, ჭიბონიც და გაკვეთილებიც მისცა. შემდეგ თვითონ გაიცნო ძლიერი ფოლკლორისტი და მეჭიბონე ლევან ვეშაპიძე და მასთან აიმაღლა კლასი. საბოლოოდ მას გემოვნება ამ ინსტრუმენტზე დაუხვეწა არტოს ბაღში პაატა ხიზანიშვილმა. ამჟამად, მიმაჩნია რომ ილია ერთ-ერთი საუკეთესოა მესტვირეთა და მეჭიბონეთა შორის.

დღეს რომ რაჭული საკრავი – სტვირი ცოცხალია ბატონი გიგა ჯაფარიძის დამსახურებაა. გიგა სხირტლაძის შემდეგ ქვემო რაჭაში მინელდა სტვირისადმი ინტერესი და მე გამიჩნდა სურვილი ჩემი წვლილი შემეტანა ამ ინსტრუმენტის აღორძინებაში.

მუზეუმში ვნახე შალვა ჯაფარიძის სტვირი, გავიარე კონსულტაცია რამოდენიმე მესტვირესთან და დავამზადე რამოდენიმე ეგზემპლიარი და კარგი გამომივიდა. ეს საქმე ძალიან შრომატევადია, დიდი შრომა თუ არ ჩადე, ინსტრუმენტი სრულყოფილი არ გამოვა.

– ესე იგი დღეს ბიზნესია?

თავიდან ჩუქებით დავიწყე. პირველი ანსამბლ „საგალობელს“ ვაჩუქე. ...შემდეგ რამოდენიმე შემსრულებელი დაინტერესდა ჩემი გუდასტვირით და დავუმზადე. და ასე თანდათანობით გაფართოვდა ჩემი დამზადებული გუდასტვირებით მომხმარებელთა წრე. დღეს რომ ჩემი დამზადებული ინსტრუმენტი მსოფლიოს საუკეთესო მუზეუმშია, რათქმაუნდა, ეს ფაქტი ძალიან მეამაყება: ისეთი მესტვირეების ტრადი-ციების მატარებელი კუთხე, როგორიც რაჭაა, დიდი ხანია ნამდვილად იმსახურებს აღიარებას. სასიამოვნოა, რომ ამჟამად გუდასტვირით სხვადასხვა კატეგორიის ხალხია დაინტერესებული: ზოგს უნდა, შინ ჰქონდეს დეკორაციად, მარანში ჩამოსაკიდებლად, ზოგსაც უცხოეთში მიაქვს სუვენირად, მაგრამ საბედნიეროდ მატულობს იმ მუსიკოსთა რიცხვი, რომლებიც სიამოვნებით და წარმატებით ასრულებენ გუდასტვირზე სხვადასხვა მუსიკალურ ნომრებს.

მიხარია, რომ დღეს რაჭაში არიან საუკეთესო მესტვირეები: ბაკურ ჩიკვილაძე, ლევან ბერელიძე, თორნიკე სხიერელი, დათო ბერაძე, დათო ნატმელაძე, ილია გაგოშიძე. დიდი იმედი მაქვს მათი სია გაიზრდება.

– არის ამის ნიშნები?

– საბედნიეროდ კი. მუსიკალურმა სასწავლებელმა უკვე დამიკვეთა გუდასტვირები, რადგან მომავალი წლიდან აპირებს ამ ინსტრუმენტით დაინტერესებული მოსწავლეების კლასის შექმნას, ე.ი. ინტერესი გაჩნდა. ასევე მისასალმებელია, რომ საკითხს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო და მერია დიდი ენთუზიაზმით უჭერს მხარს!.

გასახარელი იქნება თუ შთამომავლობა დაგვიფასებს და როგორც თორნიკე სხიერელმა ინატრა, შეიქმნება მესტვირეთა გუნდი და აღორძინდება მესტვირეთა ძველი ტრადიცია რაჭაში.

– ღმერთმა გისმინოთ...

გ. სოხაძე

რედაქტორი
დალი
დარახველიძე

რედაქციის მისამართი:
ქ. ამბროლაური,
დავით აღმაშენებლის ქუჩა №24
ტელ: 593 60 40 67

„ამბროლაურის მოამბე“
რეგისტრირებულია ამბროლაურის
სასამართლოს მიერ.
რეგისტრაციის №15/5/ბ103

გაზეთი დაიბეჭდა
ბაკური ყიტაძის მიერ
ქუთაისი, წერეთლის ქ. №186.
ტელ: 0431 23 45 54

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს
თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი
შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს, ავტორი პასუხისმგებელია მასალის, ფაქტების,
ინფორმაციის სიზუსტეზე, შინაარსსა და სტილზე.